შეთანხმების ფურცელი

„2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ აქვს. ამასთან, წარმოდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ტიპის ხელშეკრულებების ძალაში შესვლისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რატიფიცირების სავალდებულო პირობა.	**გათვალისწინებულია.** სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება წარდგენილ იქნება საქართველოს პარლამენტში რატიფიცირების მიზნით.
	აქვე შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი საჭიროებს ტექნიკურ რედაქტირებას. კერძოდ, ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის მე-2 პუნქტის „(a)” ქვეპუნქტის თანახმად, სასესხო შეთანხმების 1.02(l) ქვეპუნქტში მითითება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (MRDI) იცვლება ინფრასტრუქტურის სამინისტროთი (MOI), თუმცა, ხსენებული ქვეპუნქტი ჩამოთვლის შემსრულებელ უწყებებს (Implementing Agency), რომლებშიც MRDI/MOI, როგორც განმახორციელებელი უწყება (Executing Agency), ვერ იქნება მითითებული. ამავდროულად, პროექტის ქართულენოვანი ტექსტის მე-2 პუნქტის „(ბ)“ ქვეპუნქტში მითითებული PRF აქტივობების დასრულების ვადა (2028 წლის 30 სექტემბერი) შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტში მოცემულ ვადასთან (2028 წლის 31 მაისი).	**გათვალისწინებულია.** ჩასწორდა №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ტექსტი შენიშვნების გათვალისწინებით. კერძოდ, №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებაში წაიშალა მითითება 1.02(მ) ქვეპუნქტზე. დამატებით, №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ქართულენოვან ტექსტში მე-2 პუნქტის „(ბ)“ ქვეპუნქტში PRF აქტივობების დასრულების ვადა ჩასწორდა 2028 წლის 31 მაისით.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ და ამავე შეთანხმების 2023 წლის 31 ოქტომბრის №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება რატიფიცირებულია შესაბამისად საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 მარტის №5781-IIს და 2023 წლის 13 დეკემბრის №3908-XIIIმს-Xმპ დადგენილებებით, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას;	**გათვალისწინებულია.** სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება წარდგენილ იქნება საქართველოს პარლამენტში რატიფიცირების მიზნით.

	მიზანშეწონილია, რომ ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი თარგმანი შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურენოვან ტექსტთან. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილშეთანხმების დადება.	**გათვალისწინებულია.** **გათვალისწინებულია.**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია. აღნიშნული სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.	**გათვალისწინებულია.**
საქართველოს ეროვნული ბანკი	კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ აქვს.	
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტის მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნა: ცვლილების 2ა) პუნქტში მითითებულია სასესხო შეთანხმების ის პუნქტები, რომლებშიც სახელწოდების შეცვლის გამო „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო“ (MRDI) უნდა ჩანაცვლდეს „ინფრასტრუქტურის სამინისტროთი“ (MOI). აღნიშნული პუნქტებიდან ერთ-ერთი - ინგლისურ ვერსიაში 1.02 (l) და ქართულ ვერსიაში 1.02 (მ) არ შეიცავს სამინისტროზე მითითებას და შესაბამისად არ მოითხოვს მსგავს ცვლილებას.	**გათვალისწინებულია.** ჩასწორდა №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ტექსტი შენიშვნის გათვალისწინებით და წაიშალა მითითება 1(მ) ქვეპუნქტზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	შენიშვნები და კომენტარები არ გააჩნია.	
თბილისის განვითარების ფონდი	შენიშვნები არ გააჩნია.	

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო	შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცვლილების პროექტიდან ამოღებულ იქნას პარაგრაფ "a"-ს 1.02 სექციის "l" პუნქტი, რადგან ის არ მოისაზრებს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MOI) სახელის ცვლილებას.	**გათვალისწინებულია.** ჩასწორდა №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ტექსტი შენიშვნის გათვალისწინებით და წაიშალა მითითება აღნიშნულ ქვეპუნქტზე.